

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უვადო პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში-უნივერსიტეტი) უვადოდ არჩეული პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესსა და პირობებს.
2. ატესტაცია არის პროფესორის პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
3. ატესტაციას ექვემდებარებიან უნივერსიტეტში უვადოდ არჩეული პროფესორები 5 წელიწადში ერთხელ. აღნიშნული ვადა აითვლება აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის უვადოდ დაკავების დღიდან.
4. ატესტაციის დროს ხდება ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ბოლო 5 წლის მანძილზე განხორციელებული საქმიანობის შეფასება.

მუხლი 2. ატესტაციის გამოცხადება

1. უვადოდ არჩეული პროფესორების ატესტაციას აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2. ინფორმაცია ატესტაციის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს ატესტაციის ჩატარების თარიღსა და პირობებს. იგი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, საატესტაციო განაცხადების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა ატესტაციის ჩატარების თარიღის, პირობებისა და საბუთების მიღების შესახებ განისაზღვრება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 3. საპროცედურო, საატესტაციო და სააპელაციო კომისიები

1. ატესტაციის ჩატარების მიზნით იქმნება საპროცედურო, საატესტაციო და სააპელაციო კომისიები.
2. საპროცედურო კომისია იქმნება რექტორის სამართლებრივი აქტით.
3. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს ატესტაციას დაქვემდებარებული აკადემიური პერსონალის განცხადებებისა და საჩივრების მიღებას და ატესტაციის ჩატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით (თავმჯდომარე, მდივანი და წევრი).
4. საატესტაციო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა მტკიცდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

5. საატესტაციო/სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს შესაბამისი დარგის არანაკლებ ერთი სპეციალისტი. საატესტატო/სააპელაციო კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 3 წევრით.
6. საატესტაციო კომისია იქმნება უნივერსიტეტის უვადოდ არჩეული პროფესორის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
7. საპროცედურო და საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც მოცემული მომენტისათვის ექვემდებარებიან ატესტაციას.
8. საატესტაციო/სააპელაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
9. საატესტაციო/სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმის (ოქმების) სახით.
10. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 4. ატესტაციისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:
 - ა) განცხადება საატესტაციო კომისიის სახელზე ატესტაციაზე დაშვების თაობაზე;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 - გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
 - დ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
 - ე) ანკეტა (დანართი №1) და მასში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ცნობა, სერტიფიკატი, სიგელი და ა.შ).
2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

მუხლი 5. პროფესორის ატესტაციის შედეგები და აპელაცია

1. საატესტაციო კომისია განიხილავს და აფასებს პირის აქტივობას, მის მიღწევებს ბოლო 5 (თანამდებობის დაკავებიდან, ან წინა ატესტაციიდან დღემდე) წლის მანძილზე.
2. ატესტაციის შედეგების მიხედვით საატესტაციო კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:
 - ა) პერსონალი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
 - ბ) პერსონალი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.
3. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესორის ატესტაციის შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით.
4. საატესტაციო კომისია ატესტაციის შედეგებს აქვეყნებს 2 სამუშაო დღის ვადაში.

5. პროფესორს უფლება აქვს ატესტაციის შედეგების (სატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება) გამოქვეყნებიდან 24 საათის განმავლობაში გაასაჩივროს ატესტაციის შედეგები სააპელაციო კომისიის სახელზე საპროცედურო კომისიაში საჩივრის შეტანის გზით.
6. ატესტაციის შედეგების საფუძველზე საატესტაციო კომისია თითოეულ პროფესორთან დაკავშირებით ადგენს დასკვნას (დანართი №2), რომელსაც გასაჩივრების ვადის გასვლის შემდგომ წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, რომელიც გამოცემს სამართლებრივ აქტს პროფესორის მიერ ატესტაციის წარმატებით გავლის ან პროფესორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე.
7. ატესტაციის ვერ გავლის შემთხვევაში უვადოდ არჩეულს პროფესორს უწყდება შრომითი ხელშეკრულება და იგი ტოვებს აკადემიურ თანამდებობას.
8. თუ პროფესორმა ვერ გაიარა ატესტაცია, პროფესორის ადგილზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წარდგინებით.
9. პროფესორის ატესტაციის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.